

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჭერეთის ღვინის მარანი“ (ს/ნ 433101902) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 14/08/2013 წ. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ლაგოდეხი, სოფ. ბაისუბანი.

და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ლაგოდეხი, სოფ. ბაისუბანი.

შპს „ჭერეთის ღვინის მარანი“-ს მესაკუთრე არის თამაზი მჭედლიძე.

კომპანიის დირექტორი არის ივანე რუაძე (პ/ნ 13001003038).

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ღვინის წარმოება ყურძნისაგან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ

წარმოშევა. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე,

საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით

გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების

განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ

საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო

მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების

ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების

სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება

ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის

განმავლობაში; ან

- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის

შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი

თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული

თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად

გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება სასარგებლო

გამოყენების ვადა

შენობა-ნაგებობები 5%

მანქანა-დანადგარები 20%

სატრანსპორტო საშუალებები 20%

ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 20%

არამატერიალური აქტივები 4%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების

ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის

ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის

დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს

იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების)

გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც

კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და

სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	2022 წელი
	ლარი
შემოსავალი მზა-პროდუქციის მიწოდებიდან	3,595,237
სხვა შემოსავალი	202753

4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2,069,619

შრომის ანაზღაურების ხარჯი	649,890
---------------------------	---------

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა ხარჯები	315749
საპროცენტო ხარჯი	321,608
არასაოპერაციო ხარჯები	123,102
6, ცვეთა და ამორტიზაცია	80,858

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

2022 წელი

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	ლარი 8,319
-----------------------------	---------------

8. სავაჭრო მოთხოვნები

2022 წელი

ლარი

მოთხოვნები	საწარმოების მიმართ 2,117,583
------------	------------------------------

9. მარაგები

2022 წელი

ლარი

მზა-პროდუქცია	2,984,808
10, სხვა არამატერიალური აქტივები	1124
11, ძირითადი საშუალებები	2,006,631

12. ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	1,215,726
-----------------------	-----------

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	160
------------------------------------	-----

სესხები ბანკში	2,964,467
----------------	-----------

13. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1 ლარს

14, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 24 აგვისტოს.

ფინანსური მდგომარეობა			
	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8319	87548	22971
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2117583	1581411	1724426
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	2984808	2702608	2796553
მზა პროდუქცია	2984808	2702608	2796553
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	31303	88653	56389
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1125	0	1125
ძირითადი საშუალებები	2006631	2283190	1969153
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	7149769	6743410	6570617
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1215726	773490	358957
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	160	0	160
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	20165	20165	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2964467	2678846	3455930
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	4200518	3472501	3815047
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1	0	615565
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2949250	3270909	2140005

გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2949251	3270909	2755570
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7149769	6743410	6570617
სულ მოკლევადიანი აქტივები	5510710	4371567	4600339
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	
ნეტო ამონაგები	3797990	4768620	
საქონლის გაყიდვიდან	3595237	4768620	
მომსახურების გაწვიდან	0	0	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	202753	0	
გაყიდვების თვითღირებულება	-2069619	-2245610	
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადამუშავების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	1728371	2523010	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-649890	-290731	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-80858	-99584	
საპროცენტო შემოსავალი	0	0	
საპროცენტო ხარჯი	-321608	0	
იჯარის ხარჯი	0	0	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-315749	-540163	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1368105	-930478	
საოპერაციო მოგება	360266	1592532	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-123102	-158231	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	237164	1434301	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	237164	1434301	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	237164	1434301
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3270909	2755570
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-258822	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-300000	-918962
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2949251	3270909
ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-79229	64577
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-79229	64577
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	87548	22971
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8319	87548

შპს „პერეთის ღვინის მარანი“-ს

დირექტორი:

